



ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო

გარდაზნის მუნიციპალიტეტის საკრებულო

და დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა N 10

ქ. გარდაზანი



30/03/2023

10-06-4-202303301635

გარდაზნის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ინსპექციის სამსახურის მიერ მშენებლობის შეჩერების შესახებ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის შესრულების კონტროლის განხორციელების წესის დამტკიცების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 61-ე მუხლის პირველი და მეორე ნაწილების, საქართველოს კანონის „საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ“ (www.matsne.gov.ge, 29/12/2022, 330090000.05.001.020771) მე-2 მუხლის, საქართველოს კანონის „საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსი“ 136-ე მუხლის მე-4 ნაწილის შესაბამისად, გარდაზნის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

მუხლი 1

დამტკიცდეს „გარდაზნის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ინსპექციის სამსახურის მიერ მშენებლობის შეჩერების შესახებ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის შესრულების კონტროლის განხორციელების წესი“ დანართის შესაბამისად.

მუხლი 2

დადგენილება ამოქმედდეს 2023 წლის 1 აპრილიდან.

მიხეილ გედეხაური

საკრებულოს თავმჯდომარე